Alpina Grundierung Konzentrat

ღრმა შეღწევის უნარის მქონე საგრუნტავის კონცენტრატი

შესანიშნავად ამაგრებს საფუძვლებს
ათანაბრებს შეწოვადობას ზოგავს
საღებავის ხარჯს

პროდუქტის აღწერა

შეფუთვა:

1 ლ

დანიშნულება:

ღრმა შეღწევის უნარის მქონე საგრუნტავის კონცენტრა-ტი. ნაწარმი გათვალისწინებულია მინერალური საფუძვლების მომზადებისათვის, გარე და შიდა სამუშაოებისათვის. გამოიყენეთ მხოლოდ გაზავებული სახით. საგრუნტავს გააჩნია მაღალი შეღწევადობის უნარი, ამაგრებს საფუძველს და ამცირებს მინერალური საფარების შემწოვ უნარს, ზრდის ადჰეზიას დისპერსიული მასალებით შემდგომი დანაფარებისათვის. არ შეიცავს გამხსნელებს, სწრაფად შრება, ამცირებს საღებავის ხარჯს.

თვისებები:

- შეღწევისა და გამაგრების მაღალი უნარი
- წყალხსნადი
- არ შეიცავს გამხსნელებს
- სწრაფად შრება
- აუმჯობესებს ადჰეზიას
- ამცირებს საბოლოო დანაფარის მასალის ხარჯს

შესაფერისი ზედაპირები:

მინერალური ზედაპირები
- კირ-ცემენტის ბათქაშები
- სილიკატის აგური
- კერამიკული აგური
- ბეტონი
- თაბაშირის ზედაპირები
- ძველი მზიდუნარიანი დანაფარები
- დისპერსიული მქრქალი ბათქაშები და საღებავები

ფერი / შეფერადება:

გაშრობის შემდეგ გამჭვირვალე
ნაწარმი არ ექვემდებარება შეფერვას

სიპრიალის ხარისხი:

აბრეშუმისებრი მქრქალი, დაგრუნტვისას საჭიროა მოვერიდოთ პრიალა ზედაპირის წარმოქმნას

დატანის მეთოდები/ხელსაწყოები:

ნორმალურ და ძლიერ შემწოვ ზედაპირებზე მომზადებული საგრუნტავი დაიტანეთ ფუნჯის საშუალებით, ინტენსიურად, ერთ ფენად. დასაშვებია მასალის გორგოლაჭით დატანა და შემდეგ ფუნჯით განაწილება. საჭიროების შემთხვევაში (ძლიერ შემწოვი ზედაპირებისათვის) დაიტანეთ საგრუნტავი 2 ფენად „სველით-სველზე“ მეთოდით. თაბაშირის ზედაპირზე და ზედაპირის გაუმტვერულების მიზნით დაიტანეთ მასალა გორგოლაჭით. ნაღვენთებისა და ზედაპირის გადამეტებული დაგრუნტვის ასაცილებლად, სამუშაო დაიწყეთ ქვევიდან ზევით.

შრობის დრო / გამოყენების პირობები:

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შრება დაახლ. 4-6 საათში; შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 12 საათში. დაბალი ტემპერატურის და მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება. ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა გამოყენების დროს არ უნდა იყოს +5° C-ზე ნაკლები.

ხარჯი:

დაახლ. 30 $მ^2$ გლუვი ზედაპირის თითო შრეზე, ზედაპირის შეწოვის უნარის მიხედვით. სტრუქტურულ ზედაპირებზე ხარჯი შესაბამისად იზრდება. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება სასინჯი დატანით.

დაფარვის სტრუქტურა / გაზავება:

გამოყენების წინ კონცენტრატი საგულდაგულოდ ამოურიეთ. გააზავეთ სუფთა წყლით და კვლავ საგულდაგულოდ ამოურიეთ.

დაიცავით შემდეგი პროპორციები:
a) სუსტად შემწოვი ზედაპირებისთვის: 1 წილი კონცენტრატი 4 წილ წყალზე;
b) ნორმალურად შემწოვი ზედაპირებისთვის: 1 წილი კონცენტრატი 5 წილ წყალზე;
c) ძლიერ შემწოვი ზედაპირებისთვის: 1 წილი კონცენტრატი 7 წილ წყალზე;
d) თაბაშირის ზედაპირებისთვის: 1 წილი კონცენტრატი 9 წილ წყალზე.

შემადგენლობა:

აკრილის პოლიმერის დისპერსია, წყალი, მამოდიფიცი-რებელი ადიტივები. აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC): პროდუქტის კატეგორია (A/h): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 7 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

ზედპირის მომზადება

ზედაპირის მომზადება

ძველი აშრევებები და ჭუჭყი მოაცილეთ წყლის მაღალი წნევის ჭავლით ან მშრალი მექანიკური მეთოდით. ზედაპირები უნდა იყოს მტკიცე, სუფთა, მზიდუნარიანი და ათავისუფალი განმაცალკევებელი ნივთიერებებისგან (მაგ., ცხიმები, ზეთები, ფისები და სხვ.).

კირ-ცემენტის ბათქაშები:

ახალი ბათქაში არ დაამუშაოთ 4 კვირის განმავლობაში. ძველი ბათქაშების შერემონტებული ადგილები კარგად უნდა შეიკრას და გაშრეს. დაგრუნტვამდე გააზავეთ კონცენტრატი ზედაპირის შემწოვი უნარის შესაბამისად. მსხვილფოროვანი, ნორმალურად შემწოვი და სუსტად შემწოვი ბათქაშები დაგრუნტეთ 1 ფენით. ძლიერ შემწოვი და ოდნავ ჩამონაშალი ბათქაშები დაგრუნტეთ ორჯერ (სველით-სველზე).

ბეტონი:

ჭუჭყიანი ან ჩამონაშლის მქონე ბეტონის ზედაპირები გაწმინდეთ მექანიკურად ან წყლის ნაღალი წნევის ჭავლით. სუსტად შემწოვი ან შესაბამისად გლუვი ზედაპირები დაგრუნტეთ ადჰეზიური საგრუნტავით Alpina EXPERT Beton-Kontakt. სუსტად და ნორმალურად შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ მასალით Alpina Grundierung Konzentrat შესაბამისი გაზავებით.

კერამიკული ან მოსაპირკეთებელი აგურის წყობა:

შემდგომ დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ ყინვაგამძლე კლინკერის აგური ან მოსაპირკეთებელი ქვა, რომელიც არ შეიცავს სხვა მინარევებს. აგურებს შორის არ უნდა იყოს ბზარები და მარილის ნალექი. გარეშე. დაიტანეთ Alpina Grundierung Konzentrat-ი, გაზავებული თანაფარდობით - 1 წილი კონცენტრატი 5 წილ წყალთან.

ლაქით, ემალებით და დიპერსიული საღებავებით დაფარული მზიდი ზედაპირები:

თაბაშირის ბათქაშები და ფითხები: ყოველი გაშლიფვის შემდგომ დაიგრუნტოს Alpina Grundierung Konzentrat -ით, გაზავებული თანაფარდობით 1 წილი კონცენტრატი 9 წილ წყალთან.

ზედაპირები არამზიდი დანაფარებით, მინერალური საღებავები:

მთლიანად მოიხსნას ზედაპირი შესაფერისი საშუალებით, მაგალითად მექანიკური საშუალებებით, ჯაგრისით, ანწყლის მაღალი წნევის ჭავლით. სველი წესით წმენდისას შემდგომ დამუშავებამდე კარგად გააშრეთ ზედაპირი. დაგრუნტეთ Alpina Grundierung Konzentrat-ით, შესაბამისი გაზავებით.

მარილის ლაქების მქონე ზედაპირები:

მარილიანი ლაქები მოიწმინდოს მშრალი რკინის ჯაგრისით. დაიტანეთ საგრუნტავი შრე სპეციალური ორგანულ-ხსნადი საგრუნტავით. მარილის ლაქების მქონე ზედაპირებზე დანაფარების შესრულებისას ვერ იქნება უზრუნველყოფილი ხანგრძლივი ადჰეზია მარილების განმეორებითი გამოტანის შესაძლებლობის გამო, რაც აუარესებს ადჰეზიას დანაფარები შრის ქვეშ.

ზედაპირები მცირე დეფექტებით:

მცირე დეფექტები (3 მმ-მდე) გასწორებულ/ამოვსებული იქნას Alpina-ს შესაბამისი ფითხით. უფრო ღრმა დეფექტები დამუშავდეს სარემონტო დუღაბით. დაგრუნტეთ შეკეთებული ადგილები Alpina Grundierung Konzentrat-ით, გაზავებული თანაფარდობით 1 წილი კონცენტრატი 5 წილ წყალზე.

Alpina EXPERT Grund-Konzentrat

შენიშვნები

უსაფრთხოების ზომები / ხელსაწყოების წმენდა

მოარიდეთ ბავშვებს. მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. შეფრქვევით დამუშავებისას არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ღრუბელი. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით.

შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას.
ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 24 თვის განმავლობაში.

უტილიზაცია:

საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც საღებავის/ლაქის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.

შპს „კაპაროლ ჯორჯია“ ფირმათა ჯგუფ DAW-ს საწარმო
ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო
ტელ: **+995 322 121 505**
ელ-ფოსტა: office@caparol.ge